საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1631

10/12/2021

ქ. თბილისი

შპს „მნ პლიუსის“ სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელ (მანგანუმის მადნის გამდიდრება) საწარმოზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შპს „აფხაზეთზე“ გადაცემის შესახებ

2021 წლის 1 დეკემბერს სამინისტროს განცხადებით მომართა შპს „მნ პლიუსისა“ და შპს „აფხაზეთის“ დირექტორმა. შპს „მნ პლიუსმა“ ითხოვა მასზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა შპს „აფხაზეთზე“ და ამ უკანასკნელმა კი ამავე გადაწყვეტილების მიღება.

2015 წელს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ შპს „ნაგუთი 2014“-ის სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი (მანგანუმის მადნის გამდიდრება) საწარმოს მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაიცა ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა. 2019 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შპს „ნაგუთი 2014“-ის სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავების (მანგანუმის მადნის გამდიდრების) საწარმოს ექსპლუატაციის პირობების შეცვლასა და წარმადობის გაზრდის (ახალი ტექნოლოგიური ხაზის მოწყობა და ექსპლუატაცია) პროექტზე 2019 წლის 4 თებერვალს გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება №2-105 (04.02.2019). აღნიშნული გადაწყვეტილების თანახმად, კომპანიამ არსებულ ტექნოლოგიურ ხაზს დაუმატა კიდევ ერთი ტექნოლოგიური ხაზი.

2019 წელს კომპანიების მომართვის საფუძველზე მოხდა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ნაწილობრივ გადაცემა. კერძოდ, შპს „ნაგუთი 2014“-ის სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავების (მანგანუმის მადნის გამდიდრების) საწარმოს ექსპლუატაციის პირობების შეცვლასა და წარმადობის გაზრდაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირველი ტექნოლოგიური ხაზი (2015 წლიდან არსებული) 2019 წლის 5 ივნისის №2-486 ბრძანებით გადაეცა შპს „აგო 2019“-ს. ხოლო შპს „ნაგუთი 2014“-ის სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავების (მანგანუმის მადნის გამდიდრების) საწარმოს ექსპლუატაციის პირობების შეცვლასა და წარმადობის გაზრდაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული მეორე ტექნოლოგიური ხაზი (2019 წელს დამატებული) 2019 წლის 6 ივნისის №2-492 ბრძანებით გადაეცა შპს „მნ პლიუსს“.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი უფლებამოსილია, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება

სრულად ან ნაწილობრივ სხვა პირს გადასცეს. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძველია გადაწყვეტილების მფლობელისა და მიმღების ერთობლივი განცხადება, ხელშეკრულება ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის ფაქტს. სამინისტრო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის თაობაზე განცხადებას იხილავს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „მნ პლიუსის“ სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელ (მანგანუმის მადნის გამდიდრება) საწარმოზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 6 ივნისის №2-492 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გადაეცეს შპს „აფხაზეთს“;
2. შპს „აფხაზეთმა“ უზრუნველყოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 6 ივნისის №2-492 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების დაცვა;
3. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „აფხაზეთს“ და შპს „მნ პლიუსს“;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „აფხაზეთისა“ და შპს „მნ პლიუსის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
6. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე- 12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი